ორი თამაში – ორი გამარჯვება
თბილისელები როსტოვში...

როსტოვის არმიელთა და თბილისის “დინამოს” შეხვედრას დიდი ინტერესით მოელოდნენ. როგორც ერთმა, ისე მეორე გუნდმა ერთობ უხეიროდ აიღო გათამაშების სტარტი და ყველა მოელოდა უშეღავათო, მაქსიმალურად დაძაბულ ბრძოლას გამარჯვებისათვის, მხოლოდ გამარჯვებისათვის.

მატჩის დასაწყისი კარგს არას უქადდა დინამოელებს. საქმე მხოლოდ ის კი არ გახლდათ, რომ პირველ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს. თბილისელებმა თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში ვერ მოძებნეს თავიანთი ნამდვილი თამაში, ხშირი იყო შეცდომები დაცვაში, არ ვარგოდა ურთიერთმოქმედება მეკარესთან, ხოლო თავდამსხმელები შეტევისას ვერ პოულობდნენ დროსა და საშუალებას დამამთავრებელი დარტყმებისთვის.

გოლი, რომელიც არმიელთა თავდამსხმელმა ბუროვმა გაიტანა, მთლიანად თბილისელთა დაცვისა და მეკარის შეცდომის ბრალია. როსტოველი მარტოდმარტო იმყოფებოდა მოპირდაპირე 4 მცველსა და ურუშაძის წინაშე და, მიუხედავად ძალთა ასეთი უთანასწორობისა, მან მაინც შეძლო ამ კედელში გასვლა და ანგარიშის გახსნა _ 1:0.

პირველი ტაიმის სრულ საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა დინამოელთა თამაში შესვენების შემდეგ, კერძოდ, შეუდარებლად გამოცოცხლდა თავდასხმა. გ. ნოდიამ შეძლო რამდენიმე აგრესიული გარღვევა, გააქტიურდა გავაშელი, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კუტივაძე. მის მიერ მინდვრის შუაგულში წამოწყებული კობინაციები სახიფათოდ გრძელდებოდა როგორც ფლანგებზე, ისე ცენტრშიც. გარდა ამისა, კუტივაძე არაერთხელ გავიდა კარის ასაღებ პოზიციაში.

როსტოველებმა ვეღარაფერი გააწყვეს და გავაშელის მიერ გატანილი 2 გოლი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ბევრი შესაძლებლობიდან, რომლებიც დინამოელებს ჰქონდათ.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ურუშაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე (ქიქავა), ძოძუაშვილი, კუტივაძე, ხურცილავა, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

რამდენიმე სიტყვა დუბლიორთა მატჩზე. იგი მოიგეს დინამოელებმა _ 1:0 (გოლი გაიტანა ქიქავამ), მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. კოტრიკაძის თამაში. იგი ამ დროს გამოდიოდა... ცენტრალური მცველის პოსტზე და უნდა ითქვას, რომ მინდორზე მყოფთაგან ყველაზე კარგად ითამაშა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.) როსტოვი.
“ლელო”, 20 აპრილი, 1968 წ.